


3

გურამ ბერიშვილი
ბაკურ სულაკაური

მათემატიკა

ნაწილი II



მოსწავლის წიგნი

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

სარჩევი

თავი 6

გამრავლება

1. გამრავლება	6
2. ფრჩხილებიანი გამოსახულება გამრავლებით	7
3. 1-ის გამრავლება	8
4. 2-ის გამრავლება	9
5. 3-ის გამრავლება	10
6. 4-ის გამრავლება	11
7. 5-ის გამრავლება	12
8. გამრავლების ცხრილი	13
9. 6-ის გამრავლება	14
10. 7-ის გამრავლება	15
11. 8-ის გამრავლება	16
12. 9-ის გამრავლება	17
13. 10-ის გამრავლება	18
14. ჯამის გამრავლება	19
15. 20-მდე რიცხვების გამრავლება	20
16. ათეულების გამრავლება	21
17. ასეულების გამრავლება	22
18. ორნიშნა რიცხვების გამრავლება	23
19. 0-ით დაბოლოებული რიცხვების გამრავლება	24
20. 1000-მდე რიცხვების გამრავლება	25
21. გამრავლების გადანაცვლებადობა	26

თავი 7

რიცხვებზე მოქმედებები 1000-ის ფარგლებში

1. ათეულების დამატება	28
2. ათეულების გამოკლება	29
3. ასეულების დამატება	30
4. ასეულების გამოკლება	31
5. შეკრება	32
6. გამოკლება	33
7. მრავალმოქმედებიანი გამოსახულებები	34
8. შეკრებისას ათეულის წარმოქმნა	35
9. გამოკლებისას ათეულის დაშლა	36
10. შეკრებისას ასეულის წარმოქმნა	37
11. გამოკლებისას ასეულის დაშლა	38
12. შეკრებისას ათეულის და ასეულის წარმოქმნა	39
13. გამოკლებისას ათეულის და ასეულის დაშლა	40

თავი 8

გეგმა და კოორდინატები

1. ადგილი დარბაზში 42
2. ნახატის მოდელი 43
3. სკოლის ეზოს გეგმა 44
4. ადგილი მართკუთხედში 45
5. კოორდინატები 46

თავი 9

გაყოფა და ნაწილები

1. ტოლ ჯგუფებად დაყოფა 48
2. გაყოფა 49
3. გამრავლებისა და გაყოფის კავშირი .. 50
4. ნაშთი 51
5. 2-ზე გაყოფა 52
6. 3-ზე გაყოფა 53
7. 4-ზე გაყოფა 54
8. 5-ზე გაყოფა 55
9. ნახევარი 56
10. ნაწილი (ნახევარი, მესამედი) 57
11. მეოთხედი და მეხუთედი 58
12. ნაწილების შედარება 59
დამატებითი სავარჯიშოები 60


თავი 10

სივრცული ფიგურები

1. კუბი 62
2. პარალელეპიპედი 63
3. ცილინდრი 64
4. პირამიდა 65
5. სფერო 66
6. კონუსი 67

დამატებითი ამოცანები 68

გამრავლება



$$10 + 10 + 10 + 10 = 40$$

$$4 + 4 + 4 + 4 = 16$$

$$40 + 16 = 56$$

თითოეულ ბავშვს აქვს 14 ვაშლი. ერთად რამდენი ექნებათ?
 თეკლამ მოიფიქრა ხერხი, რომლითაც ადვილად დათვლიდა.
 თითოეულს აქვს 1 ათეული, ყველას ერთად კი – 4 ათეული, ანუ 40.
 თითოეულს, ათის გარდა, აქვს 4 ცალი. ყველას ერთად – 16 ცალი.

40 და 16 არის 56.

ამ თავში ისწავლი და შეძლებ:

- ✓ ზეპირად გაამრავლო რიცხვები.

გამრავლება

ერთნაირი შესაკრებების შეკრებას გამრავლება ჰქვია.

$$12 \cdot 3 = 12 + 12 + 12 = 24 + 12 = 36$$

12 გამრავლებული 3-ზე არის 36.



$$12 \cdot 3 = 36$$

პირველი თანამამრავლი
გვიჩვენებს, რა უნდა შევკრიბოთ.

მეორე თანამამრავლი
გვიჩვენებს, თუ რამდენი შესაკრებია.

ნამრავლი

1. შეასრულე გამრავლება. იმოქმედე ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში

6	•	3	=	6	+	6	+	6	=	
=	1	2	+	6	=	1	8			

- | | |
|------|------|
| 6•3 | 14•5 |
| 4•5 | 10•4 |
| 9•6 | 20•4 |
| 13•2 | 40•4 |

2. შეკრება ჩანერე გამრავლების სახით:

ნიმუში

1	8	+	1	8	+	1	8	=	1	8	•	3
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

- 18 + 18 + 18
 - 31 + 31 + 31 + 31
 - 12 + 12 + 12 + 12 + 12
 - 27 + 27 + 27 + 27 + 27 + 27
3. ჩანერე ციფრებით და გამოთვალე:
- 7-ისა და 3-ის ნამრავლი
 - 13-ისა და 4-ის ნამრავლი
 - 16-ისა და 5-ის ნამრავლი
4. ამოხსენი განტოლებები.
- | | |
|------------------|------------------|
| ა. $x + 5 = 116$ | ბ. $x - 7 = 210$ |
|------------------|------------------|

5. ბიჭს აქვს 1 ლარი. პური ღირს 50 თეთრი. ეკუთვნის თუ არა ბიჭს ხურდა, თუ ორ პურს იყიდის?


6. შეასრულე მოქმედებები მიმდევრობით:

- $$500 - 200 + 300 + 200$$
- $$800 - (200 + 300) + 400$$
- $$400 - (700 - 500) + 100$$
- $$200 + (900 - 600) + 100$$
- $$500 - (800 - 700) + 400$$

7. შეავსე ცხრილი:

+	100	200	300	400	500	600
100						
200						

8. ჩანერე გამრავლების სახით:



- | | |
|------------|---------|
| 9. 146 - 5 | 718 - 8 |
| 216 + 2 | 557 - 6 |
| 539 - 6 | 991 + 3 |
| 387 + 2 | 616 + 2 |



როდესაც რამდენიმე მოქმედებაა შესასრულებელი, ჯერ უნდა შესრულდეს ფრჩხილებში მოთავსებული მოქმედება.

თუ ფრჩხილები არა გვაქვს, ჯერ სრულდება გამრავლება და მერე – დანარჩენი მოქმედებები.

$$5 + 2 \cdot 3 = 5 + (2 \cdot 3) = 5 + 6 = 11$$

1. ა. $35 - 6 \cdot 3$ დ. $100 - 6 \cdot 4$
 ბ. $41 + 3 \cdot 5$ ე. $7 \cdot 5 + 41$
 გ. $50 - 9 \cdot 2$ ვ. $9 \cdot 3 - 31$

2. გადაიწერე და ჩასვი რიცხვებს შორის საჭირო ნიშანი (>, <, =):

- | | | | | | |
|-----|--|-----|-----|--|-----|
| 317 | | 713 | 147 | | 417 |
| 901 | | 899 | 612 | | 216 |
| 201 | | 102 | 131 | | 234 |
| 702 | | 720 | 320 | | 230 |

3. გააგრძელე მიმდევრობა:

- ა. 950, 900, 850, ...
- ბ. X, I, V, X, II, V, X, III, V, ...

4. რომელი საათია?

ა.



ბ.





5. სულ რამდენი თეთრია?



6. სულ რამდენი დღეა შემოდგომაზე?

7. რამდენია?



8. დაამრგვალე უახლოეს ათეულამდე.

57 223 115 351 899


9. რამდენი იქნება $a + b$, თუ:

- ა. $a = 5$ $b = 112$
- ბ. $a = 126$ $b = 3$
- გ. $a = 801$ $b = 7$

10. $18 \cdot 4$		$14 \cdot 8$
$13 \cdot 5$		$13 \cdot 9$
$13 \cdot 6$		$18 \cdot 7$
$15 \cdot 7$		$15 \cdot 9$
$12 \cdot 8$		$11 \cdot 8$
$19 \cdot 9$		$13 \cdot 2$
$15 \cdot 6$		$15 \cdot 4$

11. დახაზე ABCDE ხუთკუთხედი, რომლის AB გვერდია 3სმ.

12. ჩანერე შეკრების სახით.





$1 \cdot 3 = 1 + 1 + 1 = 3$

$1 \cdot 1 = 1$

$1 \cdot 6 = 6$

$1 \cdot 2 = 2$

$1 \cdot 7 = 7$

$1 \cdot 3 = 3$


$1 \cdot 8 = 8$

$1 \cdot 4 = 4$

$1 \cdot 9 = 9$

$1 \cdot 5 = 5$

$1 \cdot 10 = 10$



1. შეასრულე ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში												
1	·	3	+	1	·	4	=	3	+	4	=	7

$1 \cdot 3 + 1 \cdot 4$

$1 \cdot 4 + 1 \cdot 7$

$1 \cdot 5 + 1 \cdot 7$

$1 \cdot 10 + 1 \cdot 6$

$1 \cdot 8 - 1 \cdot 6$



$1 \cdot 2 + 1 \cdot 9$

2. გადაიხაზე და შეავსე ცხრილი:

შესაკრები	100	100	100	100	100	100
შესაკრები	600	500	400	300	200	100
ჯამი	700					


3. სანდრო, ნიკა, გიორგი და მამუკა ერთ ქუჩაზე ცხოვრობენ. სანდრო ცხოვრობს 12 ნომერში, ნიკა – 23-ში, გიორგი – 28-ში და მამუკა – 40-ში. რომელი ცხოვრობს კენტნომრიან სახლში? ვინ და ვინ ცხოვრობენ ქუჩის ერთ მხარეს?

4. რომელი საათია?




5. რამდენი ნაყინის ყიდვა შეუძლია სოფოს ერთლარიანით, თუ ნაყინი ღირს 35 თეთრი? ერგება თუ არა ხურდა? რამდენი?

6. გადაიხაზე რვეულში და წერტილებს დაარქვი სახელები. დაწერე ყველა მონაკვეთის სახელი.






7. დაწერე რომაული ციფრებით: ცხრაას ჩვიდმეტი, ხუთას ორი, ორას ხუთი, შვიდას ცხრა, ცხრაას ცხრა, შვიდას ცხრამეტი, ოთხას ოცდასამი, ოთხას ცამეტი.

8. გადაიხაზე ეს რიცხვითი ღერძი და დააწერე რიცხვები ისრებით მითითებულ ადგილებზე.




9. რომელია მეტი და რამდენით?





$$2 \cdot 3 = 2 + 2 + 2 = 6$$



$2 \cdot 1 = 2$

$2 \cdot 6 = 12$

$2 \cdot 2 = 4$

$2 \cdot 7 = 14$

$2 \cdot 3 = 6$

$2 \cdot 8 = 16$

$2 \cdot 4 = 8$

$2 \cdot 9 = 18$

$2 \cdot 5 = 10$

$2 \cdot 10 = 20$

1. შეასრულე ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში

2	·	3	+	2	·	4	=	6	+	8	=	1	4
---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

$2 \cdot 3 + 2 \cdot 4$

$2 \cdot 4 + 2 \cdot 7$

$2 \cdot 5 + 2 \cdot 7$

$2 \cdot 10 - 2 \cdot 6$

$2 \cdot 8 - 2 \cdot 6$

$2 \cdot 2 + 2 \cdot 9$

$2 \cdot 7 - 2 \cdot 2$

$2 \cdot 9 + 2 \cdot 3$

2. გადაიხატე რვეულში და გააგრძელე მიმდევრობა სტრიქონის ბოლომდე.



3. $243 + 3$

$571 + 8$

$466 + 2$

$118 + 1$

$552 + 6$

$260 + 1$

$135 + 4$

$184 + 5$

$712 + 5$

$323 + 4$

$215 + 1$

$444 + 4$

4. დაწერე ციფრებით და გამოთვალე:

ა. 2-ის და 8-ის ნამრავლს მივუმატოთ 2-ის და 7-ის ნამრავლი;

ბ. 2-ის და 10-ის ნამრავლს

გამოვაკლოთ 2-ის და 3-ის ნამრავლი;

გ. 1-ისა და 9-ის ნამრავლს მივუმატოთ 2-ისა და 9-ის ნამრავლი.

5. რომელია მეტი?

$213 + 1$ თუ 216

$213 + 3$ თუ 216

$213 + 2$ თუ 216


$213 + 4$ თუ 216

6. რომელი საათია?

ა.



ბ.



ა. გადაიხატე რვეულში და ABE არე გააფერადე წითლად.

ბ. სულ რამდენი შიდა არეა? დაწერე მათი სახელები.

გ. რომელი არეების საზღვარზეა EC მონაკვეთი?

დ. სულ რამდენი მონაკვეთია? დაწერე მათი სახელები.

8. $2 \cdot 6 + 2 \cdot 5$

$2 \cdot 9 - 2 \cdot 3$

$2 \cdot 10 - 2 \cdot 7$

$2 \cdot 8 + 2 \cdot 10$

$2 \cdot 7 + 2 \cdot 8$


$2 \cdot 8 - 2 \cdot 4$

9. დაახლოებით რამდენი მეტრია?


ა. 317 სმ

ბ. 595 სმ

გ. 650 სმ



$3 \cdot 1 = 3$	$3 \cdot 6 = 18$
$3 \cdot 2 = 6$	$3 \cdot 7 = 21$
$3 \cdot 3 = 9$	$3 \cdot 8 = 24$
$3 \cdot 4 = 12$	$3 \cdot 9 = 27$
$3 \cdot 5 = 15$	$3 \cdot 10 = 30$



- | | |
|----------------------------|-------------------------|
| 1. $3 \cdot 9 - 3 \cdot 2$ | $3 \cdot 3 + 2 \cdot 2$ |
| $3 \cdot 10 - 2 \cdot 8$ | $2 \cdot 7 + 3 \cdot 5$ |
| $3 \cdot 9 - 2 \cdot 5$ | $3 \cdot 4 + 3 \cdot 5$ |
| $2 \cdot 10 - 3 \cdot 3$ | $3 \cdot 7 + 2 \cdot 7$ |

2. ბიჭს აქვს ხუთლარიანი. შეუძლია თუ არა ამ ორი ნივთის ყიდვა?



ფასი
2 ლარი



ფასი
2 ლარი 50 თეთრი

დაუბრუნებს თუ არა გამყიდველი ხურდას? რა მონეტებით შეიძლება, რომ ხურდა დაუბრუნოს? ჩანერე ხუთი შესაძლო პასუხი.

- | | |
|--------------|-----------|
| 3. $2 + 128$ | $7 + 333$ |
| $4 + 246$ | $6 + 243$ |
| $5 + 355$ | $1 + 109$ |
| $3 + 416$ | $5 + 354$ |

4. დახაზე მონაკვეთები, რომელთა სიგრძეებია:
6 სმ, 9 სმ, 11 სმ, 14 სმ, 7 სმ.

5. რამდენი წუთია 6 საათი?

6. დაშალე რიცხვები ათეულებად და ასეულებად:
561, 207, 370, 459, 910, 669, 888


7.

მარტი					
ორშაბათი	2	9	16	23	30
სამშაბათი	3	10	17	24	31
ოთხშაბათი	4	11	18	25	
ხუთშაბათი	5	12	19	26	
პარასკევი	6	13	20	27	
შაბათი	7	14	21	28	
კვირა	1	8	15	22	29

- ა. რამდენი სამშაბათია მარტში?
- ბ. რა რიცხვია პირველი შაბათი?
- გ. რამდენი ორშაბათია 1-დან 11-მდე?



- | | |
|------------------|---------------|
| 8. $485 + 4 - 6$ | $244 - 4 + 6$ |
| $367 + 2 - 7$ | $168 + 1 - 5$ |
| $278 - 7 + 9$ | $997 - 3 + 5$ |

9. ჩანერე ციფრებით:



- | | |
|-----------------------------|-------------------------|
| 10. $3 \cdot 9 + 3 \cdot 3$ | $3 \cdot 8 + 2 \cdot 8$ |
| $3 \cdot 8 - 2 \cdot 4$ | $2 \cdot 9 - 3 \cdot 2$ |
| $3 \cdot 6 + 2 \cdot 9$ | $3 \cdot 7 + 2 \cdot 4$ |
| $2 \cdot 10 - 3 \cdot 3$ | $3 \cdot 7 - 2 \cdot 5$ |

$$4 \cdot 5 = 4 + 4 + 4 + 4 + 4 = 20$$



$4 \cdot 1 = 4$

$4 \cdot 6 = 24$

$4 \cdot 2 = 8$

$4 \cdot 7 = 28$

$4 \cdot 3 = 12$

$4 \cdot 8 = 32$

$4 \cdot 4 = 16$

$4 \cdot 9 = 36$

$4 \cdot 5 = 20$

$4 \cdot 10 = 40$

1. $4 \cdot 6 + 4 \cdot 7$

$4 \cdot 10 - 4 \cdot 2$

$4 \cdot 2 + 4 \cdot 3$

$4 \cdot 9 - 4 \cdot 3$

$4 \cdot 5 + 4 \cdot 9$

$4 \cdot 8 - 4 \cdot 4$


$4 \cdot 10 + 4 \cdot 4$

$4 \cdot 7 - 4 \cdot 5$

$4 \cdot 8 + 4 \cdot 9$

$4 \cdot 6 - 4 \cdot 2$

2.



ამოიწერე ტეხილის მონაკვეთების სახელები და თითოეულს მიუწერე სიგრძე.

3. რომელი საათია? რა რიცხვები იქნება 4 წუთის შემდეგ?

14 : 56

დახატე ისრებიან საათზე, რა დრო იქნება 1 საათის შემდეგ.

4. დახაზე გახსნილი ტეხილი, რომელიც 4 მონაკვეთისაგან შედგება და თითოეული მონაკვეთის სიგრძეა 2 სმ.

5. რა რიცხვია დღეს? რა რიცხვი იქნება 1 კვირის შემდეგ?

6. ქალმა ჩაუარა სახლებს, რომელთა ნომრები იყო: 139, 137 და 135. რა ნომრები იქნება შემდეგი სამი სახლი?

7. ბიჭს აქვს 5 ლარი. რამდენს მიიღებს ხურდას, თუ იყიდის ორივე სათამაშოს?



ფასი 2 ლარი



ფასი 2 ლარი

8. $4 \cdot 5 + 2 \cdot 8$

$4 \cdot 8 - 2 \cdot 8$

$4 \cdot 10 - 4 \cdot 4$

$3 \cdot 6 + 4 \cdot 4$



$4 \cdot 7 + 4 \cdot 9$

$4 \cdot 7 - 3 \cdot 9$

9. გადაიხაზე და შეავსე ცხრილი.

წინა					
რიცხვი	200	399	602	910	816
მომდევნო					

10. ჩაწერე შეკრების ან გამოკლების სახით.






$5 \cdot 3 = 5 + 5 + 5 = 15$



$5 \cdot 4 = 5 + 5 + 5 + 5 = 20$



$5 \cdot 1 = 5$

$5 \cdot 6 = 30$

$5 \cdot 2 = 10$

$5 \cdot 7 = 35$

$5 \cdot 3 = 15$

$5 \cdot 8 = 40$

$5 \cdot 4 = 20$

$5 \cdot 9 = 45$

$5 \cdot 5 = 25$

$5 \cdot 10 = 50$

- 1. $5 \cdot 7 - 5 \cdot 4$ $5 \cdot 8 + 5 \cdot 9$
- $5 \cdot 10 - 5 \cdot 6$ $5 \cdot 9 - 4 \cdot 4$
- $5 \cdot 3 + 5 \cdot 5$ $5 \cdot 6 + 4 \cdot 6$

- 2. დააკვირდი კალენდარს და უპასუხე შეკითხვებს:
 - ა. რა რიცხვი და რა დღეა აპრილის ბოლო დღე?
 - ბ. რომელ რიცხვებშია აპრილში ორშაბათი?

3. ოჯახის წევრების სიმრავლე ასაკების სიმრავლე

მამა •	→	45
დედა •	→	67
ბებია •	→	15
შვილი •	→	69
ბაბუა •	→	

- ა. ვინ არის ყველაზე უფროსი ოჯახში?
- ბ. ვინ და ვინ არიან ტოლი ასაკისანი?
- გ. ვინ არის 15 წლის?

- 4. გაიგე ამ მრავალკუთხედის პერიმეტრი.




- 5. რომელი საათია?



რამდენი დრო გავიდა საათების ჩვენებებს შორის?

- 6. გიორგის უნდოდა 379 კაცუნას დახატვა. სწორად დახატა თუ არა? რა აკლია მის ნახატს? გადაიხატე და დაასრულე.



- 7. $5 \cdot 3 + 4 \cdot 4$ $5 \cdot 5 + 4 \cdot 4$
- $5 \cdot 9 - 4 \cdot 3$ $5 \cdot 9 - 3 \cdot 2$
- $5 \cdot 7 + 5 \cdot 6$ $5 \cdot 4 + 4 \cdot 5$
- $5 \cdot 7 - 2 \cdot 7$ $5 \cdot 6 - 4 \cdot 7$
- $5 \cdot 8 + 3 \cdot 9$ $5 \cdot 2 + 2 \cdot 10$
- $5 \cdot 10 - 4 \cdot 2$ $5 \cdot 10 - 3 \cdot 7$

- 8. დახაზე ABCD გახსნილი ტეხილი, რომლის სიგრძეა 20 სმ, ხოლო AB და BC მონაკვეთების სიგრძეებია 7 სმ.

ზოგჯერ გამრავლებას

ასეც წერენ.

x	1	2	3
2			
3		6	
4			

ეს გამრავლების ცხრილია

ამ ცხრილში რიცხვების ნამრავლები ჩავწეროთ.

სტრიქონებისა და სვეტების გადაკვეთაზე უნდა ჩაინეროს შესაბამისი რიცხვი.

მაგალითად, 2-იანის სვეტისა და 3-იანის სტრიქონის გადაკვეთაზე უნდა ჩაინეროს 6, რადგან:

$$3 \cdot 2 = 6$$

გამოგვივიდა გამრავლების ცხრილი.

1. გადაიხაზე და შეავსე გამრავლების ცხრილი:


x	1	2	3	4	5
5					
6					

2. $6 \cdot 7 - 5 \cdot 3$ $4 \cdot 6 + 6 \cdot 4$
 $6 \cdot 10 - 3 \cdot 4$ $6 \cdot 3 + 4 \cdot 8$
 $6 \cdot 6 + 5 \cdot 5$ $5 \cdot 7 + 6 \cdot 2$

3. რამდენი სანტიმეტრია?

- ა. 1 მ 3 სმ დ. 4 მ 4 სმ
 ბ. 2 მ ე. 4 მ 40 სმ
 გ. 7 მ 51 სმ ვ. 5 მ 3 სმ

- 4.



რამხელაა AC მონაკვეთი?

5. დიდი ღირს 5 თეთრი. ირაკლიმ იყიდა 6 დიდი და გამყიდველს მისცა 50 თეთრი. რამდენ თეთრს დაუბრუნებს გამყიდველი?
6. რამდენი დღეა ზაფხულში (ივნისში, ივლისსა და აგვისტოში ერთად)?

7. რომელია მეტი?

- $4 \cdot 7$ თუ $5 \cdot 8$ $5 \cdot 4$ თუ $4 \cdot 6$
 $4 \cdot 8$ თუ $5 \cdot 7$ $3 \cdot 9$ თუ $4 \cdot 7$

8. დანერე ციფრებით და გამოთვალე:

- ა. ორას ორმოცდაცამეტისა და ერთის ჯამი;
 ბ. შვიდას ოცდათვრამეტისა და ექვსის სხვაობა.



9. გადაინერე რვეულში და გამოთვალე:

- $301 + 2$ $310 + 2$
 $301 + 4$ $310 + 4$
 $301 + 6$ $310 + 6$

10. გადაიხაზე რვეულში და შეავსე ცხრილი:


				სულ
1	2	2	1	
3	3	3	2	
10	5	2	6	

11. დათვალე უჯრების რაოდენობები და ჩაწერე ციფრებით.





$6 \cdot 3 = 6 + 6 + 6 = 18$



$6 \cdot 2 = 6 + 6 = 12$

$6 \cdot 1 = 6$

$6 \cdot 6 = 36$

$6 \cdot 2 = 12$

$6 \cdot 7 = 42$

$6 \cdot 3 = 18$


$6 \cdot 8 = 48$

$6 \cdot 4 = 24$

$6 \cdot 9 = 54$

$6 \cdot 5 = 30$

$6 \cdot 10 = 60$



1. $6 \cdot 7 + 6 \cdot 4$ $6 \cdot 10 - 6 \cdot 8$

$6 \cdot 3 + 6 \cdot 2$ $6 \cdot 9 - 6 \cdot 3$

$6 \cdot 5 + 6 \cdot 4$ $6 \cdot 6 - 6 \cdot 2$


2. დახაზე ოთხკუთხედი და გაიგე მისი პერიმეტრი.

3. $873 - 2$ $544 + 1$

$733 + 5$ $518 - 4$

$937 - 6$ $655 - 2$

4. ბავშვების სიმრავლე სიმალღეების სიმრავლე



ა. რომელი ბავშვია ყველაზე მაღალი?

ბ. ქეთის რა რიცხვი შეესაბამება ამ ასახვით?

გ. რომელი ბავშვია 148 სმ?

დ. რომელი ბავშვია 160 სმ-ზე დაბალი? ასეთი მხოლოდ ერთი ბავშვია?

5. კანფეტი ღირს 6 თეთრი. რა ეღირება 7 კანფეტი?

მეორე გაკვეთილი დაიწყო	მესამე გაკვეთილი დამთავრდა

ა. რომელ საათზე დამთავრდა მეორე გაკვეთილი? (გაკვეთილი 45 წუთიანია) დახატე საათის ისრები რვეულში.

ბ. რამდენ ხანს გაგრძელდა დასვენება?

გ. რომელ საათზე დაიწყო მეორე გაკვეთილი?

7. გადაინერე რვეულში და გამოთვალე.

ა. $6 \cdot 7 + 4 \cdot 8 - 5 \cdot 5 - 3 \cdot 6$

ბ. $6 \cdot 8 - 5 \cdot 7 + 3 \cdot 9 - 2 \cdot 4$.

8. რამდენს იწონის საზამთრო?

